

## ფარული მიყურადება ილიბერალურ რეჟიმებში - საქართველოს მაგალითი

ავტორი: ვასილ ჟიჟიაშვილი - GDI-ს მკვლევარი/იურისტი

### შესავალი

ფარული მიყურადება სახელმწიფოს ხელთ არსებული ის ინსტრუმენტია, რომლის კონტროლიც თავისთავად გულისხმობს ადამიანის უფლებების შეზღუდვის მომეტებულ საფრთხეს. სახელმწიფოს მიერ ფარული მიყურადების განხორციელება per se არ არის ანტიდემოკრატიული. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი პოლიტიკური რეჟიმის მიერ ხდება აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენება და რა არის მისი გამოყენების მიზნები. ამგვარად, სათაურიდან გამომდინარე პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ რას ვგულისხმობთ ლიბერალურ და ილიბერალურ რეჟიმებში.

ლიბერალური დემოკრატიის მთავარი იდეა მმართველობის უმრავლესობის მიერ განხორციელებაა, რომელიც გარდაუვლად გულისხმობს ინდივიდუალური უფლებების დაცვას, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავება გაწონასწორების მექანიზმის უზრუნველყოფას პოლიტიკური ანგარიშვალდებულებისა და სამართლის უზენაესობის პრინციპების დაცვით. ლიბერალურ დემოკრატიებად წოდებულ რეჟიმებში არსებობს ბალანსი სულმცირე ოთხ ძირითად კონცეფციას შორის: რესპუბლიკანიზმი (ძალაუფლების წყარო არის ხალხი); კონსტიტუციონალიზმი (ფორმალური ინსტიტუციური ძალაუფლება შეზღუდული და კოდიფიცირებულია); დემოკრატია (გადაწყვეტილებებს იღებს ლეგიტიმაციის მქონე უმრავლესობა); ლიბერალიზმი (ადამიანის უფლებებითა და ხელისუფლებს დანაწილების პრინციპით შეზღუდული ხელისუფლება).<sup>1</sup>

ამის საპირისპიროდ, ილიბერალური დემოკრატიული რეჟიმები მოიაზრებს საზოგადოებრივი თანაცხოვრების იმგვარ ფორმას, რომლის ფარგლებშიც ადამიანის უფლებები და ინსტიტუციური შეზღუდვები არ არის დაფასებული. თუ კონსტიტუციური ლიბერალიზმის იდეა ხელისუფლების შეზღუდვის მუდმივი მცდელობაა, ილიბერალური დემოკრატია ძალაუფლების მუდმივი აკუმულირების პროცესს გულისხმობს. ილიბერალური რეჟიმების ლიდერებისთვის კი ყველაფერი, რამაც შესაძლოა მათ ძალაუფლებას საფრთხე შეუქმნას განხილულია როგორც „სამიზნე“, რომელსაც აუცილებლად სჭირდება შინაარსის შეცვლა. ამგვარად, ილიბერალური რეჟიმების ლიდერების მთავარი საქმიანობა დემოკრატიული ინსტიტუტებისგან ყველაფერი დემოკრატიულის დეკოდირება და მათში ახალი იდეის - ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის მსახურების მინიჭებაა.

რაც უფრო არადემოკრატიულია რეჟიმი, მით მეტია საფრთხე მისი მხრიდან ფარული მიყურადების ინსტრუმენტის ბოროტად გამოყენებისა. უშუალოდ ილიბერალურ დემოკრატიებში კი ფარული მიყურადების ბოროტად გამოყენების სამ ძირითად პრაქტიკას გამოყოფენ: ხელისუფლებისთვის ელექტორალური თვალსაზრისით საშიში ინდივიდების

<sup>1</sup> Steven Feldstein, "Surveillance in the Illiberal State," in Routledge Handbook of Illiberalism, eds. András Sajó, Renáta Uitz, and Stephen Holmes (New York: Routledge, 2022), p. 355.

მონიტორინგი; მასობრივი საზოგადოებრივი მიყურადება ხალხში არსებული პროტესტის, განსხვავებული აზრისა და პოპულარული სენტიმენტების წინასწარი აღმოჩენისა და მათი განეიტრალებისთვის; პრო-სახელისუფლებო ნარატივების, საზოგადოებრივ აზრზე მანიპულაციებისა და დეზინფორმაციის სტრატეგიების დასამუშავებლად<sup>2</sup>.

რაც შეეხება საქართველოს, Freedom House-ის ბოლო შვიდი წლის [მონაცემებით](#) ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელი თანდათანობით იკლებს და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მდგომარეობით ამჟამად საქართველოს მონაცემები 58/100 ქულას შეადგენს, რითაც საქართველოს ადგილი ნახევრად თავისუფალი ქვეყნების რიგებშია. საგანგაშოა ისიც, რომ მმართველი პარტიის მიერ წლების განმავლობაში ადგილი აქვს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე თავდასხმას მათი დამორჩილების მიზნით. ამის საილუსტრაციო მაგალითია 2021 წლის ბოლოს ხელისუფლების მიერ დაჩქარებული წესით, რამდენიმე დღეში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება და მის ნაცვლად ორი ახალი სამსახურის შექმნა, რომელიც როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეფასებით დამოუკიდებელ ინსტიტუტზე გამიზნულ თავდასხმად იქნა შეფასებული<sup>3</sup>. შედეგად, შეილახა აღნიშნული დემოკრატიული ინსტიტუტისადმი საზოგადოებრივი ნდობა, რის გამოც ახლაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაშლის შემდგომ შექმნილი ორი ახალი სამსახურის (სპეციალურ საგამომიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური) ეფექტიანი ფუნქციონირების საკითხი.<sup>4</sup>

საქართველოში დემოკრატიული პროცესების უკუსვლისა და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე თავდასხმის პრაქტიკის ფონზე მნიშვნელოვანია შეფასდეს თუ როგორ იყენებს ხელისუფლება ფარული მიყურადების ინსტრუმენტს და მისი გამოყენების პროცესში შეინიშნება თუ არა ზემოთ მითითებული ილიბერალური პრაქტიკები.

### **საქართველოში არსებული ფარული მიყურადების ინფრასტრუქტურის მოკლე მიმოხილვა**

ფარული მეთოდების გამოყენებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ასევე, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონმდებლობის მიხედვით, ფარული მიყურადებისა და თვალთვალის განხორციელება შესაძლებელია განხორციელდეს ორ შემთხვევაში: 1. კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისას; 2. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ეფექტურად განსახორციელებლად. ფარული საგამომიებო მოქმედება პირველ შემთხვევაში ტარდება

---

<sup>2</sup> Ibid, p.357-359.

<sup>3</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით: <https://shorturl.at/hmAIZ>

<sup>4</sup> European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Opinion ON THE LAW ON THE SPECIAL INVESTIGATION SERVICE AND ON THE PROVISIONS OF THE LAW ON PERSONAL DATA PROTECTION CONCERNING THE PERSONAL DATA PROTECTION SERVICES, Strasbourg, 18 December 2023 CDL-AD(2023)044, p. 5.

მოსამართლის განჩინებით, ხოლო მეორე შემთხვევაში არ საჭიროებს მოსამართლის განჩინებას გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

როგორც აღინიშნა, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. თუმცა, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისთვის (გამოძიებისთვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს/დაიწყოს მოსამართლის განჩინების გარეშე, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით. გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების საკითხი post factum გადის სასამართლო კონტროლს. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ფარული მიყურადება როგორც წესი, არ საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, გარდა ელექტრონული თვალთვალისა და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლისა, რომელთა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით.

ფარული მიყურადების მომწესრიგებელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხი 2016 წელს<sup>5</sup> განიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფარული მიყურადების უფლებამოსილება არაკონსტიტუციურად მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სუს-ი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვებით, რაც პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის გაუმართლებელზე მეტად მომეტებულ საფრთხეს ქმნიდა.

2017 წლის 22 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ახლებურად მოაწესრიგა ფარული ელექტრონული თვალთვალის განმახორციელებელი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ორგანიზება. კერძოდ, ფარული მიყურადების უფლებამოსილება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ნაცვლად გადაეცა ახლად შექმნილ უწყებას - სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს. თუმცა, რეალურად ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოა. შესაბამისად, ვინაიდან ფარული მიყურადების მომწესრიგებელი კანონმდებლობა კვლავ ვერ აკმაყოფილებდა სუს-ისგან დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის კრიტერიუმებს, აღნიშნული უფლებამოსილება კვლავ გასაჩივრდა 2017 წელს, თუმცა დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია. ამდენად, დღემდე ეჭვქვეშ დგას ფარული მიყურადების მომწესრიგებელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხი.

---

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

## საქართველოში გამოყენებული ფარული მიყურადების ილიბერალური პრაქტიკები

ქართულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში სუს-ის მიერ ფარული მიყურადების უფლებამოსილების უკანონო გამოყენების პრაქტიკები არაერთხელ გამხდარა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი. სუს-ის მიერ უკანონო ფარულ მიყურადების პრაქტიკაზე დაკვირვებით შეგვიძლია მისი კლასიფიკაცია და ზემოთ განხილულ ილიბერალურ პრაქტიკებთან მისადაგება. აღნიშნულ თავში სწორედ მოცემული საკითხები იქნება განხილული.

### 1. ხელისუფლებისთვის ელექტორალური თვალსაზრისით „საშიში“ ინდივიდების მონიტორინგი

ილიბერალურ რეჟიმებში ხელისუფლებისთვის ელექტორალური თვალსაზრისით „საშიში“ ინდივიდების საქმიანობის მონიტორინგი შესაძლოა ფარული მიყურადების ინსტრუმენტის მეშვეობით ხდებოდეს. ელექტორალურად საშიშ ინდივიდებში მოიაზრებიან როგორც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერები, ასევე საზოგადოებაში მაღალი გავლენის მქონე პირები, მაგალითად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ადვოკატები და სხვა. საყურადღებოა ისიც, რომ უკანონო ფარული მიყურადების მონიტორინგის შედეგები ხელისუფლის მიერ მათი ოპონენტების შანტაჟისა და დაშინების ინსტრუმენტადაც შესაძლოა იქნეს გამოყენებული.

სამწუხაროდ, არაერთი წელია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მეშვეობით პოლიტიკური ოპონენტების შანტაჟი პოლიტიკური კულტურის ნეგატიურ პრაქტიკად ჩამოყალიბდა. Freedom House-ის 2020 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ბოლო წლების განმავლობაში არაერთი საჯარო პირი, მათ შორის ოპოზიციის წევრები და მმართველი პარტიის პოლიტიკოსები, გახდნენ ფარული ვიდეო ჩანაწერების გავრცელების მუქარის ობიექტები, რაც ზღუდავს პოლიტიკურ თემებზე გამოხატვის თავისუფლებას<sup>6</sup>. განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ინტერნეტ სივრცეში რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი ე.წ სუს-ის კრებსების გავრცელებას, რომელიც მიუთითებს ქვეყანაში ტოტალური ფარული მიყურადების პრაქტიკაზე. მათ შორის აღსანიშნავია 2021 წლის 13 სექტემბერს ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ასეულობით ფაილი, რომლითაც ხელმისაწვდომი გახდა სასულიერო პირებთან, პოლიტიკოსებთან, ჟურნალისტებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დაკავშირებული, სავარაუდოდ სუს-ისგან გამოქონილი ინფორმაცია. გავრცელებული ფაილების ავთენტურობა ოფიციალურად დადასტურებული არ არის, თუმცა საკუთარი თავი არაერთმა პირმა ამოიციო და დაადასტურა, მისი კომუნიკაციის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობა.

<sup>6</sup> Freedom House-ის 2020 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2ZGJSd3>

აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ შემთხვევაზე გამოძიების დაწყების მიუხედავად, გამოძიებას დღემდე შედეგი არ მოჰყოლია, რაც დამატებით აძლიერებს კითხვებს აღნიშნულ საქმეებში სუს-ის შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

## **2. მასობრივი საზოგადოებრივი მიყურადება ხალხში არსებული პროტესტის, განსხვავებული აზრისა და პოპულარული სენტიმენტების წინასწარი აღმოჩენისა და მათი განეიტრალებისთვის;**

საზოგადოებაზე მასობრივი უკანონო ფარული მიყურადება ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს წინასწარ დააიდენტიფიციროს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებში არსებული პროტესტის კერები, შემდგომში კი იზრუნოს მათ გასანიეტრალებლად. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად საზოგადოებრივი კონტროლის ობიექტი ასევე შესაძლოა გახდეს ინტერნეტ სივრცე და მასში გამოთქმული საპროტესტო ინიციატივები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის იოსებ გოგაშვილის მიერ გასაჯაროებული დოკუმენტაცია (შემდეგში „გოგაშვილის ფაილები“) მიუთითებს, რომ სუს-ი ახორციელებდა დეტალურ ფარულ მიყურადებას სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებზე და ამას ხელისუფლების საწინააღმდეგო პოზიციის ჩასახშობად იყენებდა. საილუსტრაციო მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ „გოგაშვილის ფაილებზე“ დაყრდნობით სუს-ის მიერ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ოპოზიციურად განწყობილი სკოლის დირექტორობის მსურველ კანდიდატებზე განხორციელებული რეპრესიები. კერძოდ, 2021 წელს 1 აგვისტოს მდგომარეობით 6 წლიანი უფლებამოსილების ვადა გაუვიდა 1003 დირექტორს, საიდანაც 891 დირექტორი მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, დანარჩენი კი გათავისუფლდა თანამდებობიდან. მამხილებლის მიერ გასაჯაროებულ დოკუმენტებში 112-იდან 95 დირექტორს რესურს-ცენტრი და სუს-ი უარყოფითად აფასებდა პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ამ მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ სუს-ისა და მმართველი პარტიის შეფასებები დირექტორების გათავისუფლების ტენდენციას ემთხვევა.<sup>7</sup>

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სუს-ის მიერ მასობრივი უკანონო ფარული მიყურადების მეშვეობით ხელისუფლება ცდილობს საზოგადოების განსხვავებულ ჯგუფებში არსებულ პროტესტს მიაგნოს და რეპრესიების გამოყენებით უზრუნველყოს პროტესტის ფართო მასებზე გავრცელების პრევენცია, რათა საფრთხე არ შეექმნას მის ძალაუფლებას.

## **3. პრო-სახელისუფლებო ნარატივების, საზოგადოებრივ აზრზე მანიპულაციებისა და დეზინფორმაციის სტრატეგიების დასამუშავებლად**

<sup>7</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში: ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზაციის აპრობირებული მეთოდები საქართველოში, 2022, გვ 41, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/xlszi>

საზოგადოებაში გავლენის მქონე ინდივიდების წინააღმდეგ რეპრესიების განხორციელების, ინტერნეტ სივრცეში ცენზურის დაწესებისა და კომუნიკაციის საშუალებების ბლოკირების გარდა, ილიბერალური რეჟიმები უფრო შორს წავიდნენ და ფარული მიყურადების გამოყენებით პროაქტიული, პრო-სახელისუფლებო ნარატივებისა და დეზინფორმაციის კამპანიების გამოყენების პრაქტიკაც დაიწყეს.

ამის ცალსახა მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სუს-ში მიმდინარე გამოძიება ე.წ ტრენინგების საქმეზე, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლება სამოქალაქო აქტივისტებს, ხელოვნების სფეროში მოღვაწე ინდივიდებს და დონორ ორგანიზაციებს ხელისუფლების ძალადობით შეცვლის მცდელობაში ედავება. კერძოდ, 2023 წლის 18 სექტემბერს სუს-მა [განაცხადა](#), რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა. გამოძიება გასაიდუმლოებულია და გამოკითხვაზე დაბარებულ პირებს და მათ ადვოკატებს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა საჯაროდ ისაუბრონ გამოძიების შესახებ. ამის საპირისპიროდ, ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაკავშირებული მედია საზოგადოებაში ავრცელებს ნარატივს, რომ ამ ადამიანების მიერ იგეგმებოდა რევოლუციური გადატრიალება, რითაც გამოკითხვაზე დაბარებული პირების მიმართ, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა (ისინი ფორმალურად არ არიან ბრალდებულები) შესაძლოა ირღვეოდეს უდანაშაულობის პრეზუმფცია.

საყურადღებოა ისიც, რომ სუს-ის მიერ გავრცელებული განცხადებიდან მალევე მმართველმა გუნდმა შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონპროექტში დააინიცირა ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს დროებითი კონსტრუქციების, მათ შორის კარვების განთავსებაზე გაუმართლებელი შეზღუდვების დაწესებას. ამის მიზეზად კი შესაძლო რევოლუციური სცენარების თავიდან არიდება სახელდება. 2023 წლის 10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა ეუთო/ოდირის დასკვნა აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელშიც მითითებულია, რომ შემოთავაზებული ცვლილებები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს განსხვავებული პოლიტიკური აზრის დისკრიმინაციულად ჩასახმობად. დასკვნაში უარყოფითადაა შეფასებული ასევე კანონპროექტის დაჩქარებულად მიღების წესი.<sup>8</sup> საბოლოოდ, 2023 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნულ კანონპროექტს ვეტო დაადო, რომელიც ჯერ პარლამენტს არ დაუძღვია.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს „დესტრუქციული ძალების“ მხრიდან მოსალოდნელ რევოლუციურ სცენარებსა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის შესახებ აქამდეც არაერთხელ [განუცხადებია](#) და გამოძიებაც დაუწყია, თუმცა მიმდინარე გამოძიება მისი რეპრესიული ხასიათისა და საზოგადოებაში პროპაგანდისტული ნარატივების გავრცელების მასშტაბების გათვალისწინებით


<sup>8</sup> [ეუთო/ოდირმა სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე დასკვნა მოამზადა \(ombudsman.ge\)](#)



განსაკუთრებით საგანგაშოა და მიაწინებს ხელისუფლების სურვილზე ძირი გამოუთხაროს დემოკრატიული ცვლილებების მხარდამჭერ ინიციატივებს და გამოხატვის თავისუფლებას.

## დასკვნა

რატომ არის ეს ყოველივე ასეთი მნიშვნელოვანი? რატომ გვჭირდება უფრო მეტი ყურადღება და სუს-ზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჯერემი ბენტამის პანოპტიკონის (იხ. სურათი 1) პარალელი დაგვეხმარება.



სურათი 1.

პანოპტიკონი ინსტიტუციური შენობის დიზაინია, რომელსაც აქვს ჩამოყალიბებული კონტროლის სისტემა. იდეა ეკუთვნის მე-18 საუკუნეში მოღვაწე ინგლისელ ფილოსოფოსსა და სოციალურ თეორეტიკოსს ჯერემი ბენტამის. კონცეფცია გულისხმობს ისეთი ციხის შექმნას, რომელშიც ციხის მცველი ყველა პატიმარზე დაკვირვებას ერთი ოთახიდან შეძლებს, იმ დაშვებით რომ

პატიმრებისთვის ცნობილი არ იქნება უყურებენ თუ არა მათ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მცველის მიერ ფიზიკურად შეუძლებელია პატიმართა ყველა საკანზე ერთდროულად დაკვირვება, ის ფაქტი, რომ პატიმრებისთვის ცნობილი არ არის, როდის უყურებენ, მათში იწვევს ქცევის კორექციას და მოქმედებენ ისე, თითქოს ისინი მუდმივად სხვისი კონტროლის ქვეშ არიან. სხვა სიტყვებით, პატიმრები იძულებულნი არიან საკუთარ თავს თვითრეგულირება დაუწესონ.

სწორედ ამგვარი შედეგის მიღწევას ილიბერალური რეჟიმების მიზანი - მასობრივი ფარული მიყურადების საზოგადოებრივი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა კონკრეტულ ინდივიდი არ იყოს მიყურადების ობიექტი, ის ფაქტი, რომ მის გარშემო სხვა ინდივიდები ფარული მიყურადების ობიექტები არიან, მასაც აიძულებს სოციალური ქცევის შეცვლას და საკუთარი თავის თვითშეზღუდვას. სწორედ ამიტომ, რეჟიმები, რომელშიც ინდივიდის კერძო ავტონომიის პრივატულობის საკითხი ფარული მიყურადების უკანონო პრაქტიკების ფონზე ეჭვქვეშ დგება, მთელი საზოგადოება პანოპტიკონის ციხის პატიმარს ემსგავსება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების ფონზე, რომელიც აჩვენებს, რომ საქართველოში ფარული მიყურადების უკანონოდ გამოყენების პრაქტიკები ჰგავს და ხშირად იმეორებს ილიბერალური რეჟიმების მიერ ფარული მიყურადების გამოყენების პრაქტიკებს, ვფიქრობ, აღნიშნული კითხვების სიმწვავე გასაგები და დამაფიქრებელი უნდა იყოს. ჩვენს ინსტიტუციებს კი ფუნდამენტური რეფორმები სჭირდება, რათა საზოგადოებამ შეძლოს პანოპტიკონის ციხის სინდრომის ჩამოშორება და დაიბრუნოს კერძო ავტონომიის პრივატულობის დაცვის განცდა.

*2024 წლის იანვარი*